

**XIX-XX საუკუნეების საქართველოს ენობრივი
სიტუაცია თედო სახოკიას თხზულებაში
„მოგზაურობანი“**

ქართული ენის სახელმწიფოებრივ ფუნქციას საფრთხე შეექმნა XIX საუკუნეში. საქართველოში ოფიციალურ (საქმისწარმოების, განათლების, სასამართლოს, ღვთისმსახურების...) ენას რუსული ენა წარმოადგენდა. “ფარნავაზიდან მოყოლებული (ძვ. წ. IV – III საუკუნეები) ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართული ენა საქართველოს ტერიტორიაზე კარგავს სახელმწიფო ენის სტატუსს“ [გოგოლაშვილი 2013: 6]. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში იწყება ქართული ენის მიერ დაკარგული სივრცის დაბრუნება.

XIX-XX საუკუნეებში ქართული ენის მიმართ სახელმწიფოებრივ დონეზე ხორციელდებოდა რუსიფიკატორული პოლიტიკა, რომლის ერთ – ერთი მიმართულება ეროვნული ღირსების დაკარგვა გახლდათ, კერძოდ, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ სკოლასთან ერთად იდევნებოდა ქართული ეკლესიაც; სლავურად აღვივლებოდა წირვა-ლოცვა აფხაზეთისა და სამურზაყანოს ეკლესიებში [ბოლქვაძე 2007: 218-219]. ამ ფაქტის დასტურია თედო სახოკიას მიერ „მომბეში“ გამოქვეყნებული წერილი: სამურზაყანოს „გუდავაში ღვთისმსახურების ენად მხოლოდ იმიტომ აირჩიეს სლავური, თურმე მეგრელებმა „ქართული არ იციან და სლავურად იმიტომაცსწირავთ“ [სახოკია 1895: 121].

მთელი არეულობა ღვთისმსახურების საკითხში მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდა, ეკლესიებიდან განდევნილიყო ქართული ენა, რომელსაც კონკურენციას ვერ გაუწევდა აფხაზური, მაგრამ სლავურით მისი ჩანაცვლების შემთხვევაში მეგრელებს ქართულ ენას ჩამოაშორებდა [ბოლქვაძე 2007: 219].

ამერიკელი სოციოლინგვისტის ჯომუა ა. ფიშმანის ნაშრომში „ენობრივი დაგეგმვის ადრეული საფეხური“ [Fishman 1993] წარმოდგენილია ენობრივი კონფლიქტებისა და საფრთხის შემცველი სიტუაციების ანალიზი სხვადასხვა ქვეყანაში. პოლიტიკური კრიზისის ვითარებაში ორი ტენდენცია იჩენს თავს:

- პოლიტიკური ზეგავლენის მქონე ქვეყნის კულტურული და ენობრივი უპირატესობის ქვეცნობიერი აღიარებისა;

- ეროვნული თვითდამკვიდრებისა და ეროვნული ენის დაცვის გრძნობის გამახვილებისა საზოგადოების მეორე მრავალრიცხოვან ნაწილში, რაც ენის ნორმალიზაციის სრულყოფისა და ფუნქციონირების არეთა გაფართოებისაკენ მისწრაფებაში გამოიხატება [ტაბიძე 2005: 108].

ჯ. ფიშმანის ნაშრომში წარმოდგენილი მოდელები განზოგადების შესაძლებლობას იძლევა და საშუალება გვაქვს განვიხილოთ ქართველ მოღვაწეთა თხზულებების მიხედვით საქართველოში ენობრივი პოლიტიკისა და დაგეგმვის საკითხები, რომლებიც შესწავლის საგნადაა ქცეული.

ქართულ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ძეგლებში დაცულია საგულისხმო ცნობები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, XIX-XX საუკუნეების საქართველოში არსებული ენობრივი სიტუაცია განვსაზღვროთ ისტორიული ასპექტითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თედო სახოკიას თხზულება „მოგზაურობანი“.

ქართველი მწერალის, მთარგმნელის, ეთნოგრაფისა და ლექსიკოგრაფის თედო სახოკიას თხზულება „მოგზაურობანი“ (1896-1903) ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს წარმოადგენს საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.

თხზულებაში, რომელშიც ავტორი ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ასახავს, ვხვდებით საინტერესო და საგულისხმო ცნობებს გურიის, აჭარის, სამურზაყანოსა და აფხაზეთის ხალხის ადათ-წესების, რელიგიის, ენების, ეთნოგრაფიული ყოფის, ბუნების და სხვათა შესახებ.

ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია საენათმეცნიერო ხასიათის ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ თხზულებაში ავტორი ქართველურ ენათა სოციოლინგვისტიკურ განზომილებებს გვაწვდის, რაც, რასაკვირველია, უაღრესად ფასეულ ინფორმაციას წარმოადგენს.

რომელიმე ენობრივი სიტუაციის აღწერის დროს, როგორც წესი, ყურადღება ექცევა ამ სიტუაციის ფარგლებში მოქცეული ენების როგორც სოციოლინგვისტიკურ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მახასიათებლებს. თანამედროვე სოციოლინგვისტიკურ გამოკვლევებში, რომლებიც ენობრივი სიტუაციის პრობლემას ეხება, გამოკვეთილია ამ მნიშვნელოვანი ფენომენის აღწერისას გამოყენებული სა-

მი ტიპის მიდგომა: 1) რაოდენობრივი (კვანტიტატიური), 2) შეფასებითი (აქსიოლოგიური), 3) თვისებრივი (კვალიტატიური) [ლელ 2002: 616].

შეფასებითი ანუ ესტიმაციური მიდგომა გულისხმობს იმ ნიშან-თვისებათა გამოვლენა-წარმოჩენას, რომლებიც იდიომთა შინაგანი და გარეგანი შეფასებიდან გამომდინარეობს. ენა ფასდება თავისი ძირძველი მომხმარებლებისა და სხვა ენებზე მოლაპარაკეთა მიერ მისი საკომუნიკაციო გამოსადეგობის თვალსაზრისით, ესთეტიკური, კულტურული, პოლიტიკური პრესტიჟულობის ჭრილში და ა. შ.

ენობრივი სიტუაციის თვისებრივ ნიშნებად მიიჩნევა შემდეგი: ენობრივ სიტუაციაში შემავალი იდიომების ენობრივი ხასიათი: ერთი ენის სახესხვაობებია თუ სხვადასხვა ენა; იდიომებს შორის არსებული სტრუქტურულ-გენეტიკური მიმართება: მსგავსი, მონათესავე (იგულისხმება ძალიან ახლო ნათესაობა), არამსგავსი, არამონათესავე; იდიომთა ფუნქციური თანაბარმნიშვნელობა-არათანაბარმნიშვნელობა; სახელმწიფო მასშტაბით გაბატონებული იდიომის (მეტალექტის) ხასიათი: ადგილობრივია თუ „იმპორტირებული“ [კომლევე 1981: 96].

ენობრივი სიტუაცია კომპლექსური ხასიათის მოვლენაა; ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ აქვს სწორხაზოვანი ბუნება, მისი დამახასიათებელი ნიშნები ყოველთვის ვერ ლაგდება ერთ, სწორ ხაზზე, ყოველთვის არ იზომება ერთი და იმავე კრიტერიუმებით. აქედან გამომდინარე, მის არსში ჩასაწვდომად ვერ ვიტყვით უარს ამ პრობლემის კვლევაში არსებულ მიდგომათა მრავალრიცხოვნებასა და მრავალფეროვნებაზე, ვერც – შესაბამისი გზით მიღებული მონაცემების გათვალისწინებაზე. ერთ-ერთი ამგვართაგანია შეფასებითი ანუ ესტიმაციური მიდგომა. იგი გულისხმობს იმ ნიშან-თვისებათა გამოვლენა-წარმოჩენას, რომლებიც იდიომთა შინაგანი და გარეგანი შეფასებიდან გამომდინარეობს. ენა ფასდება თავისი ძირძველი მომხმარებლებისა და სხვა ენებზე მოლაპარაკეების მიერ მისი საკომუნიკაციო გამოსადეგობის თვალსაზრისით, ესთეტიკური, კულტურული, პოლიტიკური პრესტიჟულობის ჭრილში და ა. შ. შინაგან შეფასებათა ერთობლიობის საშუალებით შეიძლება დადგინდეს მოცემული ენობრივი ერთობის ე. წ. „ენობრივი ლოიალობის“ ხარისხი, ანუ საკუთარი დედაენის მიმართ ერთგულების დონე.

რადგანაც აღნიშნული მიდგომა გარკვეულ შეფასებებს გულისხმობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული შეფასება საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ შემფასებლის დამოკიდებულება შესაფასებელი ენობრივი მონაცემის მიმართ. სიტყვა „დამოკიდებულება“ ტყუილად არ გვიხსენებია; სწორედ ასე ითარგმნება ქართულად ის ტერმინი, რომლითაც ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ ჩვენთვის საინტერესო ასპექტს; ესაა (language) attitude (ქართულ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მსგავსი მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი atitudi). საერთოდ, როდესაც ამა თუ იმ ენის შესახებ ვსაუბრობთ, ხშირად გვიწევს სხვადასხვა შეფასების გათვალისწინება; ფასდება სიტყვები, გამონათქვამები, ტექსტები, ასევე იდიოლექტები, დიალექტები და მთლიანად ენებიც კი. ასეთი რამ გვხვდება არა მარტო რომელიმე სამეტყველო კოლექტივის წევრთა მხრიდან არსებულ დამოკიდებულებაში ამა თუ იმ იდიომის მიმართ, არამედ საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც [კომლევი 1981: 96].

ნიშანდობლივია, რომ თედო სახოკიასთან წარმოდგენილია ენათა თვისებრივი და შეფასებითი მახასიათებლები, რომლებიც შემდეგი სახითაა ნაჩვენები.

გურია

„ოზურგეთი – ასეთი წმინდა ქართული ქალაქი საქართველოში სხვაგან იშვიათად შეგვხვდრია. ქუჩასა, ეკლესიასა, დუქანში, ყველა საზოგადო შესაკრებელ ადგილას, შინა თუ გარეთ – ქართული ლაპარაკი-ლა გესმით. ათასში ერთხელ რომელიმე მეტიჩარა, ვითომ ინტელიგენტი თუ აჯახირებს ქართულს ენასა და ის თუ დაარღვევს ამ საერთო ჰარმონიას და გურიის დედაქალაქის ნიშანდობლივ ელფერს. აქაურები არამც თუ სხვას გადაუბირებია, არამედ თვითონ გამოუჩენია იმდენი სიმტკიცე ხასიათისა, რომ სხვა გადმოურჯულებია თავისებურად, თავის გემოსა და ჭკუაზე“ [სახოკია 1950: 26].

ოზურგეთის მოქალაქის ოჯახი

„მთელ ოზურგეთში ოთხი მანდილოსანი დავინახე ქართულად თავდახურული; შიდაჭრელი ლაპარაკი აქაც იკიდებს ფეხს, განსაკუთრებით ეგრედწოდებულ ინტელიგენტურს ოჯახებში. გურული კილოც სიმღერისა თანდათან ადგილს უთმობს „ევროპულს მოტივებს“. საგულისხმოა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ამ ფაქტის დასტურად: „ქართულ ენას არათუ განვითარების შესაძლებლობა მოსპობილი ჰქონდა, არამედ პირდაპირ ისეთი პირობები იყო, რომ უნდა დაევიწყა ინტელიგენციას ქართული ენა... ბევრი რუსულად აზროვნებდა და ქართულად წერდა, თავიანთი აზრის გამოთქმა უძნელდებოდათ“ [ჯავახიშვილი 1971: 7].

აჭარის მთაზე

„თურქთა ბატონობას, მართალია, ქრისტიანობა განუდევნია აჭარიდან და აჭარელები ძლიერ მმოსავნი გამხდარან მაჰმადისა, მაგრამ ქართული ენა მაინც შერჩენიათ. ერთმანეთში სულ ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ ყური უნდა შეაჩვიოთ. პირველ ხანში გიძნელდებათ მათი ნათქვამის გაგება. დიდი განსხვავებაა გურულ სხაპასხუპით ლაპარაკსა და აქაურების დინჯ ლაპარაკს შორის. ამ მხრივ აქაური ქართლელს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მკვირცხლ მკვიდრსა. თვითონ წელი მიმოხვრა, აუჩქარებლობა მათს ლაპარაკს შეეხამება. პირველში როგორც მე მიჭირდებოდა მათი ნათქვამის გაგება, ისე იმათაც ჩემი წალაპარაკების გაგება უჭირდებოდათ. ერთი ამათგანი ქართლში ყოფილა და მითხრა, პირველად, სანამ კარგად არ „დავუყურებდი“, ვერ ვიგებდი იქაურების ლაპარაკსაო. ეგ სიძნელე იმისგან წარმოსდგება, ჩვენი აზრით, რომ ზოგი სიტყვების ქართული სახელწოდება დაჰვიწყებიათ და თურქულ სახელებს ემახიან. ასეთი სიტყვა როცა ფრაზაში გაერევა, ხანდახან მთელი ფრაზის შინაარსი გაუგებარი რჩება მსმენელისათვის. ხშირად ხმარობენ სიტყვას **ბა**-ს, რაცა ნიშნავს **კი**, **პი**, **მაშ**-ს. პირველ პირის ნაცვალ სახელს **მე**-ს ბოლოს **ნა**-ს უმატებენ ლაპარაკის დროს, როგორც ქართლის ზოგიერთ სოფელში იციან ხოლმე, მაგ. ამ ფრაზას: „მე ვითხარი“, აჭარელი ასე იტყოდა „**მენა** ვითხარი“.

ამბობენ აგრეთვე, ისიც ქართულებს მსგავსად, რამდენის მაგიერ, **რამითი-ს**. მოხვევების მსგავსად ხშირად ურევნ ლაპარაკში **ჰაი, ჰაი-ს**, ესე იგი, მაშ, ჰო. აქვე შევხვდით ბევრ სიტყვებს, რომელნიც ან ძველ ქართულში ანდა კიდევ სამეგრელოში ხმარობენ. მაგალითად, შარვალს სამეგრელოში ძიქვა-ს ეძახიან; ამავე სახელს ეძახის აჭარელი ტანისამოსის ამ ნაწილს, მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებებით, სახელდობრ ძიგვა-ს. სხვათა შორის, აქავეა დარჩენილი ძველი, საღმრთო წერილის სიტყვა, რომელიც რამდენადაც ვიცით, საქართველოში სხვაგან არსად იხმარება, ან და ჩვენ მაინც არ გაგვიგონია. ეს გახლავთ საეკლესიო ნივთის, ფეშხუმის სახით გაკეთებული ხის ჭურჭელი, რომელიც სუფრის ალაგას იხმარება აქ და სახელადაც ფეშხუმი ჰქვიან. – მრგვალია, როგორც ფეშხუმი და იმასავით მრგვალი ფეხი აქვს შუაზე. ზედ აწყობენ საჭმლიან სპილენძის სინებს სადილ-ვახშმის დროს და მოსუფრალნი გარს შემოუსხდებიან. ჩვენი ყურადღება ძველი ქართულის ფორმამაც მიიქცია. არ იტყვიან: „მე არაფერი მეკარგება“, არამედ ასე უნდა თქვან: „მე არაფერი **მეკარგების**“.

ლაპარაკში აქაურები მეტად თავაზიანები არიან. არ შეიძლება რამე თქვან, რომ არ დაატანონ: „ბატონო“, „ბრძანდები“, „თუ უკაცრავად არ გახლდეთ“ და ბევრი სხვა საბოდიშო სიტყვები, რომელნიც ქართული ენის ნიშანდობლივს თვისებას შეადგენენ. ქალებმა ოსმალური არ იციან. მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ და მიაძმეს, წმინდა ქართული ენა ქალებში უფრო დაცულიაო. აქ ვერ გაიგონებთ იმ უწმაწურ სიტყვა-პასუხს, ურომლისოდაც ქართულ მდაბიოს ლაპარაკი ვერ მოუხერხებია. ლანძღვა დიდ სირცხვილად მიაჩნდათ. ამის შესახებ ერთმა მითხრა: „ქართლში ვიყავ, ყველაფერი ძალიან მომეწონა იქაურებისა, მხოლოდ ბევრი გინება სცოდნიათო“ [სახოკია 1950: 117-118].

აწინდელი აჭარა

„ქართული ენა, მიუხედავად საშინელი ბრძოლისა, რომელიც სარწმუნოების გავლენით მაჰმადიანობამ გამართა მასთან, თითქმის ხელშეუხებლად და პირვანდელი სიწმინდით დაცულა შიდა აჭარაში და განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომელიც ზედ აკრავს გური-

ას. მაგალითად, სოფ. ჭვანის ქართული განთქმულია და შიგ მრავალ საუნჯესა ვპოულობთ ჩვენი ძველი ენისას.

ოჯახში ყველა ქართულად ლაპარაკობს. მეტადრე ქალები არიან წმინდად დამცველნი ჩვენი ენისა. რადგან ნაბეჭდი წიგნები აქეთკენ ამ უკანასკნელ ხანამდე არ მოიპოვებოდა, თუ წერა და ნაწერის კითხვა იცოდნენ, ისევ ქალებმა: აქაური ბეგების დედებმა, უფრო ხანშესულებმა. მდაბიოთა შორის ძველებური წერის მცოდნე იშვიათია. დღესაც. წერის დროს, თუ ქალი წერდა, სიტყვებსაც ქართულს ხმარობდა, თვით სახე ამათი ნაწერის ანბანისა მეტად დაშორებულია ჩვენი აწინდელის წერისაზე და შეუჩვეველ თვალისათვის მეტად მძიმე გასარჩევია. იმ დროს, როცა ჩვენ ვცდილობთ მრგვალად ვწეროთ, თითქმის ყოველ ანბანს, ამათ მიერ დაწერილს, სამკუთხედების ხასიათი აქვს“ [სახოკია 1950: 185].

სამურზაყანო

„მცხოვრებნი ორივე სქესისა ოჩამჩირეში დღეს 608 სული ითვლება. ამათში 26 კომლი ლაზია, 3 – ბერძენი, 1 – სომეხი და ერთიც პოლონელი, დანარჩენი მეგრელები არიან. სალაპარაკო ენა მეგრეულია, თუმცა ქართულიც ყველამ იცის. მეგრელებში (მეტადრე ვაჭრებში) ბევრია ბერძნული და თურქული ენების ზედმიწევნით-მცოდნენიცა. თითო-ოროლამ ბერძნული წერა-კითხვაც იციან, საყველ-პურო თურქული თითქმის ყველამ იცის [სახოკია 1950: 251].

თვითონ თურქული სახელი ოჩამჩირის (ჩამჩირ – ბზა; ოჩამჩირე – საბზე ადგილზე) მოწმობს, რომ ოჩამჩირეს მიდამოში წინათ დიდძალი ბზა იდგა“ [სახოკია 1950: 252].

ნიშანდობლივია, რომ ქართული ენა სამურზაყანოს სკოლებიდან იდევნებოდა და თავად ავტორი მომსწრე და თვითმხილველი ამ ამბებისა, წერს: „კურსი ამ სკოლისა გრძელდება 3 წელიწადი, თუმცა 2 კლასიან ნორმალურ სასწავლებლად ითვლება. საგნებს მარტო რუსულს ენაზე ასწავლიან. შიგა სწავლობენ მეგრელები და აქა-იქ აფხაზი ბავშვები“ [სახოკია 1950: 254].

ღირსსაცნობია, რომ ავტორი ზემოაღნიშნულ თავში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ასევე სამურზაყანოში გავრცელებულ

ტაბუირებულ და ევფემისტურ ლექსემებს, რომლებიც, ძირითადად, ცხოველთა და ფრინველთა სახელებთანაა დაკავშირებული:

„**დათვს** აქ ორი სახელი ჰქვია: **თუნთი** და **უწუნდური** (უწმინდური). საზოგადოდ მავნებელ სულდგმულთ აქ ორნაირი სახელი ჰქვიათ: ერთი ნამდვილი და მეორე მოგონილი. ცდილობენ, ყოველთვის მოგონილი სახელი დაუმახონ ხოლმე ამგვარ სულდგმულთ, იმიტომ რომ, – ამბობენ, – ნამდვილი სახელი რომ დავუმახოთ, ეგონება – გვემახიანო, მოვლენ და დაგვაზიანებენო. მგელს, დათვს, ტურას მეგრულად საერთოდ **უშინუ** (უხსენებელი) ჰქვია, ე. ი., ისეთი არსებანი, რომელთა სახელის თქმა არ შეიძლებაო.

კერძოდ დათვს, როგორც ზევითა ვსთქვით, „**უწუნდური**“ (უწმინდური) და „**ბურდღინა**“ (მობურტყული) ჰქვიათ. მელას – „**მამავაღლე**“ (ჩაქ-ჩაქით მოსიარული) და „**უჭუ-უხაშუში მაჭკომალი**“ (უწვავ-უხარშავის მჭამელი), ტურას – „**კვალი-ჭყელი**“ (კვალ-დაწყველილი) და „**მოცქვაცქვალე**“ (ცუცუნა). გველს – „**უჩადართში**“ (შავი ღართინი) და „**თუდო გიღესასარგალუნი**“ (ძირს რომ დაეთრევა). თავს – „**კუდეღამი**“ (კუდიანი) და „**კიბირმოჭკადილი**“ (კბილ-მოჭედილი). ჭიანჭველას – „**პუხმეტახილი**“ (წელმოტეხილი). თავსა და ჭიანჭველას გამოცვლილ სახელებს ქალები განსაკუთრებით მაშინ უმახიან, როცა აბრეშუმის ჭია უსხედთ და თანაც დაატანენ: „ომ გელოშ ვიშო“ – ას მთის იქით. ე. ი. ასის მთის იქით მისი თავიო! ქორს – „**ჟინმაღუ**“ (ზევით, ე. ი. ცაში მოსიარული) ჰქვიათ. ყვავს – „**დუდ-უჩა**“ (შავ-თავა). მატლს – სამნაირ სახელს ემახიან: „**ოჭიმში მაზიმალი**“ (ზურგის მზომელი), „**თელი**“ (მთელი, ცოცხალი) და „**მურდგმული**“ (სულდგმული). თუ საქონელს იარაზე მატლი გაუჩადა, განსაკუთრებით მაშინ ერიდებიან მატლს ნამდვილი სახელი დაუმახონ. ქათმის ჭირს „**იგანია**“ ჰქვიათ მეგრულად. თუ ქათმებს დაერია, იტყვიან, ჩვენს ქათმებს „**უსახელი**“ (უსახელო) დაემართაო.

გარდა ამისა, თუ ნადირმა რამე ზიანი მოგაყენათ, ან აბრეშუმის ჭიას თავგი და ჭიანჭველა დაეხვია, ან და ქათმები და საქონელი ჭირმა გაგიწყვიტათ, სხვის სახლში თქვენს გაჭირვებას ვერ იტყვით. ვითომ, რაც თქვენ გადაგხდათ თავზე, ვისაც უთხარით, იმათ გადაედებაო. თქვენი ლაპარაკის შემდეგ თუ რამე მოუვიდათ, იტყვიან (თქვენზე): „მხარით მოიტანა (მარცხი) და დამისვაო“ [სახოკია 1950: 282].

აფხაზეთი

„აფხაზეთს ახალი ხანა დაუდგა, რომელმაც ძირიანად უნდა შეუცვალოს ფერი მის პირველყოფილ ცხოვრებას. ვისაც აქეთკენ ამ ოცი წლის წინათ უმოგზაურია, ახლა ვერც-კი დაიჯერებს, თუ ეს მხარე მოკლე ხნის განმავლობაში ასე გამოიცვალა. აჭრელდნენ მცხოვრებნი, აჭრელდა ეთნიური შემადგენლობა. გესმით რუსული, ქართული, ბერძნული, სომხური; მეგრული ყაბალახი, ოსმალური ფესი, რუსული კარტუზი – ერთმანეთშია აქ არეული“ [სახოკია 1950: 296].

თედო სახოკიას მიერ წარმოდგენილი ცნობები უფრო მეტად ფასეულია XIX-XX საუკუნეების საქართველოს ეთნოლინგვისტური სიტუაციის რეკონსტრუქციისათვის ისტორიული და ფაქტოლოგიური თვალსაზრისით, აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცნობები გამოიყენება როგორც დიაქრონიული სოციოლინგვისტიკის ობიექტი.

ლიტერატურა

ბოლქვაძე 2007 – თ. ბოლქვაძე, ქართველური დიგლოსია, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბილისი.

გოგოლაშვილი 2013 – გ. გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენა, ნარკვევები. თბილისი.

კომლევი 1981 – Комлев Н. Г., Лингвистическая аксиология. Постановка проблемы. В кн.: Теоретические проблемы социальной лингвистики. Москва.

ლეღ 2002 – Лингвистический энциклопедический словарь. Большая Российская энциклопедия, Москва.

სახოკია 1950 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი.

სახოკია 1895 – თ. სახოკია, პროვინციის ცხოვრება, აფხაზეთი, მოამბე, XI, ტფილისი.

ტაბიძე 2005 – მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბილისი.

ფიშმანი 1993 – Joshua A. Fishman, The Earliest Stage of Language Planning: The "first Congress" Phenomenon, Berlin – New-York.

ჯავახიშვილი 1971 – ივანე ჯავახიშვილი, ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის, თსუ შრომები, I (138).

Irine Chachanidze

**The language Situation in Georgia in the
19-20th Centuries in T. Sakhokia's work "Journeys"**

S u m m a r y

In the present work I discuss the issue of functioning of the Georgian language according to T. Sakhokia's work , which has become the subject of study.

The historical and ethnographic literary works preserve noteworthy information which allows to determine the language situation in Georgia in the 19-20th centuries from historical aspect as well. In this regard, it is particularly important T. Sakhokia's work „Journeys“ in which the author provides an interesting and important sociolinguistic information on Guria, Adjara, Samurzaqano and Abkhazia.